

## საქართველოს კანონი

### „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N2, 04.01.2007, მუხ. 33) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

#### 1. მე-3 მუხლის:

##### ა) „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მომსახურება – სააგენტოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის სახის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული სახის მოკლე ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის უფლებით) ნებართვის გაცემა და იარაღის რეგისტრაცია; ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის სახის გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული სახის გრძელლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის და სპორტული მოკლე გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა და იარაღის რეგისტრაცია; თავდაცვის სახის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა და იარაღის რეგისტრაცია იმ პირებზე, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ უნარჩუნდებათ იარაღის ტარების უფლება; სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების საკუთრებაში არსებულ იარაღზე, სამსახურებრივი-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისათვის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა და იარაღის ხელახალი რეგისტრაცია; „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოსარგებლე პირზე სამსახურებრივი-საშტატო სტატუსით გადაცემული იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა და იარაღის რეგისტრაცია. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის

იარაღის შეძენის ნებართვის გაცემა და იარაღის რეგისტრაცია, აგრეთვე შეძენილი იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა; უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა; საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა) ნებართვის გაცემა; იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნის ნებართვის გაცემა; შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულებების მერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანის და საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემა; იარაღის ხელახალი რეგისტრაცია; იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა; იარაღის დროებითი მოწმობის გაცემა; იარაღის, ტირის, სასროლეთის ან/და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვის გაცემა; იარაღის ბალისტიკური შემოწმება; იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა; იარაღის ჩამოწერა; იარაღის რეესტრის წარმოება; მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გირავნობის რეგისტრაცია; ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების რეგისტრაცია; მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმება; კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას იარაღისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა; მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია (რეგისტრაციაში ცვლილებები) და სარეგისტრაციო ნიშნების გაცემა; საიდენტიფიკაციო ნომრის დადამღვა; მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციიდან მოხსნა; მართვის უფლების კატეგორიების მინიჭება; სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის, ტრაქტორის მართვის მოწმობის, საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემა; ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა; მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა; მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია, აღნიშნული შეზღუდვის მოხსნა; მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ან მის ნომრიან აგრეგატებზე საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება; დეკლარანტის თხოვნით საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის განკუთვნილ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე დეკლარაციის შევსება ან/და საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) საბაჟო ორგანოსათვის მიწოდება; სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია; საფელდეგერო მომსახურება; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;“

**ბ) „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) იარაღი – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული:

ე.ა) სანადირო ხრახნილულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (კარაბინი ან შაშხანა);

ე.ბ) სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (თოფი);;

ე.გ) სანადირო კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღი (ხრახნილ და გლუვლულიანი თოფი);

ე.დ) მოკლელულიანი (მათ შორის საფანტის) ცეცხლსასროლი იარაღი (პისტოლეტი, რევოლვერი);

ე.ე) სპორტული სახის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი;

ე.ვ) სპორტული სახის გრძელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი;

ე.ზ) გაზის (აირის) იარაღი (პისტოლეტი, რევოლვერი);

ე.თ) სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლე პირების საკუთრებაში არსებულ იარაღი, რომელსაც ენიჭება სამსახურებრივი-საშტატო იარაღის სტატუსი.

ე.ი) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დაწესებულებების კუთვნილი იარაღი, რომელიც სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსით გადაეცემა მოსარგებლე პირს;“

**გ) „ე<sup>1</sup>“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე<sup>1</sup>) იარაღის დროებითი მოწმობა – დოკუმენტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას უფლებას აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, გადააადგილოს მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული იარაღი:

ე<sup>1</sup>.ა) სააგენტოში ბალისტიკურ შემოწმებაზე წარდგენის მიზნით;

ე<sup>1</sup>.ბ) შენახვის უფლებით არსებული იარაღის შეძენის ადგილიდან შენახვის ადგილზე გადატანის მიზნით;

ე<sup>1</sup>.გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში;“

**დ) „ე<sup>2</sup>“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე<sup>2</sup>) იარაღის ჩამოწერა – იარაღის მესაკუთრის (მფლობელის) - ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს მიერ იარაღის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარება ან/და განადგურება; იარაღის ჩაბარებისა და განადგურების წესი განიზაღვრება შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ.“

ე) „ე<sup>2</sup>“ პუნქტის შემდეგ დაემატოს „ე<sup>3</sup>“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ე<sup>3</sup>) ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტები - ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებია ლულა (დოლურა), ჩამკეტი, ჩარჩო, ლულის კოლოფი.“

ვ) „ი“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) დათვალიერების აქტი - სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც თანხმლები დოკუმენტებისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მონაცემების შედარების შედეგად აისახება კანონმდებლობით დადგენილი მონაცემები;“

ზ) „ნ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) საფელდიეგერო მომსახურება – განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო, საიდუმლო კორესპონდენციების ან/და ამანათების, დოკუმენტაციის, სპეციალური ტექნიკის, სამრეწველო ნაწარმის, საცდელი ნიმუშების, ფასიანი ქაღალდების, ნივთების ან/და ტვირთების დანიშნულების ადგილზე, ადრესატისთვის(მიმღებისათვის) დადგენილი მარშრუტებითა და წესით უსაფრთხოდ და ოპერატიულად მიტანა, გადატანა, გადაზიდვა და ჩაბარება;“

ი) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ან მის ნომრიან აგრეგატებზე საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება – სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ან მის ნომრიან აგრეგატებზე საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება. გარიგების ფორმა და შედგენის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.“

**2. მე-4 მუხლის:**

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის სახის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი (მათ შორის საფანტის) იარაღის ან სპორტული სახის მოკლე ხრახნილულიანი ცეცხლსასროლ იარაღის შექმნის (შენახვის უფლებით) ნებართვის გაცემა და იარაღის რეგისტრაცია;“

ბ) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის სახის გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული სახის გრძელულიანი

ცეცხლსასროლი იარაღის და სპორტული სახის მოკლე გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა და რეგისტრაცია ;“

**გ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გასაზღვრული სამოქალაქო სახის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა და რეგისტრაცია იმ პირებზე, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ შეუწარმუნდათ იარაღის ტარების უფლება;“

**დ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „გ<sup>1</sup>“, „გ<sup>2</sup>“, „გ<sup>3</sup>“, „გ<sup>4</sup>“, „გ<sup>5</sup>“, „გ<sup>6</sup>“, და „გ<sup>7</sup>“ პუნქტები შემდეგი რედაქციით:**

„გ<sup>1</sup>) სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების საკუთრებაში არსებულ იარაღზე, სამსახურებრივი-სამშტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისათვის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა და იარაღის ხელახალი რეგისტრაცია;

გ<sup>2</sup>). „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოსარგებლე პირებზე სამსახურებრივი-სამშტატო სტატუსით გადაცემული იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა და იარაღის რეგისტრაცია;

გ<sup>3</sup>) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის იარაღის შეძენის ნებართვის გაცემა და იარაღის რეგისტრაცია, აგრეთვე შეძენილი იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა.”

გ<sup>4</sup>) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა;

გ<sup>5</sup> ) საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა) ნებართვის გაცემა;

გ<sup>6</sup>) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნის ნებართვის გაცემა;“

გ<sup>7</sup>) შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულებების მერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად სპორტული

ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანის და საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემა;

ე) პირველი პუნქტის „ო<sup>3</sup>“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო<sup>3</sup>) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ან მის ნომრიან აგრეგატებზე საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება;“

ვ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო<sup>4</sup>“, „ო<sup>5</sup>“, და „ო<sup>6</sup>“ ქვეპუნქტები:

„ო<sup>4</sup>) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია.

„ო<sup>5</sup>) იარაღის რეესტრის წარმოება;“

„ო<sup>6</sup>) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს მიერ საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის განკუთვნილ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაზე დეკლარაციის შევსება ან/და საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის(დოკუმენტების) საბაჟო ორგანოსათვის მიწოდება.“

**3. მე-4<sup>1</sup> მუხლის შემდეგ დაემატოს 4<sup>2</sup> მუხლი შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 4<sup>2</sup>

1. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის სხვა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვებ სერვისის ან/და სხვა ელექტრონული კავშირის მეშვეობით უფლებრივი შეზღუდვის, სამართლებრივი დატვირთვის ან/და მოვალეთა რეესტრის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას (ან აღრიცხვისას) ტექნიკური გაუმართაობის ან/და ელექტრონული კავშირის შეფერხების შემთხვევაში, როდესაც სააგენტოს მიერ ვერ ხორციელდება ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიღება ან/და გადამოწმება, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია (სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელება) ჩერდება არა უმეტეს 5 წუთისა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ტექნიკური ხარვეზის აღმოუფხვრელობის ან/და ელექტრონული კავშირის აღუდგენლობის შემთხვევაში დამატებითი გადამოწმების გარეშე, ამ მუხლით დადგენილი წესით, სააგენტო აგრძელებს სარეგისტრაციო მოქმედებების განხორციელებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გაემოებების არსებობისას, როდესაც რეგისტრაციის (სარეგისტრაციო ცვლილებების) განხორციელების საფუძველს წარმოადგენს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების გადაცემა, სააგენტოს მიერ რეგისტრაცია(სარეგისტრაციო ცვლილებები) განხორციელდება, მხოლოდ გამსხვიებლის განცხადების წარმოდგენის შემდეგ, მისთვის უფლებრივი

შეზღუდვის, სამართლებრივი დატვირთვის ან/და მოვალთა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის არ ქონის თაობაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარომოების არსებობისას გამსხვისებლის მიერ მისთვის ცნობილი უფლებრივი შეზღუდვის, სამართლებრივი დატვირთვის ან/და მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევაში, მოტყუებულ შემძენს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ედაოს მას გარიგების ბათილად ცნობაზე.

4. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ან მის თანამშრომელს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ამ მუხლით განსაზღვრული წესით რეგისტრაციის ან რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელებისათვის.“

#### **4. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. სააგენტო საფელდიეგერო მომსახურებას ახორციელებს სათანადო ხელშეკრულების ან/და ზედნადების საფუძველზე. საფელდიეგერო მომსახურების საფასური, მისი გადახდის წესი და ვადები განისაზღვრება საფელდიეგერო მომსახურების ხელშეკრულებით.

#### **5. მე-6 მუხლის:**

##### **ა) „ზ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს „ზ<sup>1</sup>“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„ზ<sup>1</sup>) სანომრე ნიშნის „TEST“ ერთი წყვილის გაცემა -30 ლარი.“

##### **ბ) „ლ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ლ) ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა-გ<sup>3</sup>“ ქვეპუნქტებით გასაზღვრული ერთი ერთეული იარაღის რეგისტრაცია ან ხელახალი რეგისტრაცია ან ჩამოწერა – 20 ლარი;“

##### **გ) „მ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს „მ<sup>1</sup>“ „მ<sup>2</sup>“ „მ<sup>3</sup>“ და „მ<sup>4</sup>“ პუნქტები შემდეგი რედაქციით:**

„ მ<sup>1</sup>) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემისათვის მომსახურების გაწევის საფასური - ერთ ერთეულ იარაღზე - 10 ლარი, ხოლო ერთ ერთეულ საბრძოლო მასალაზე (ვაზნაზე) - 0,1 ლარი;“

მ<sup>2</sup>) საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა) ნებართვის გაცემისათვის გაწეული მომსახურებისათვის საფასური-ერთ ერთეულ იარაღზე ან იარაღის ძირითად ელემენტზე - 10 ლარი, ერთ ერთეულ საბრძოლო მასალაზე(ვაზნაზე) - 0,1 ლარი ;

მ<sup>3</sup>) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილი სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემისათვის მომსახურების საფასური - ერთ ერთეულ იარაღზე - 10 ლარი .”

მ<sup>4</sup>) შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულებების მერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანის და საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემისათვის - ერთ ერთეულ ერთეულ იარაღზე - 5 ლარი, ერთ ერთეულ საბრძოლო მასალაზე (ვაზნაზე) - 0,05 ლარი;“

**დ) „შ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„შ) დეკლარანტის თხოვნით სააგენტოს მიერ საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის განკუთვნილ ერთ ერთეული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაზე დეკლარაციის შევსება ან/და საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის(დოკუმენტების) საბაჟო ორგანოსათვის მიწოდება – 10 ლარი.“

**ე) „ც“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ც) ერთ ერთეულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ან ერთ ერთეულ ნომრიან აგრეგატზე საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება – 10 ლარი.“

**ვ) „ც“ პუნქტის შემდეგ დაემატოს „ც<sup>1</sup>“ და „ც<sup>2</sup>“ პუნქტები შემდეგი რედაქციით:**

„ც<sup>1</sup>) კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია - 20 ლარი;

„ც<sup>2</sup>) ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებული ქართულენოვანი დოკუმენტის ერთი გვერდის (ერთ გვერდამდე) უცხოურ ენაზე თარგმნის მომსახურებისათვის საფასური - 20 ლარი.“

**ზ) შენიშვნის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ამ მუხლის „ე.ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ასოთა ან/და ციფრთა კომბინაციის წყობა არ უნდა იმეორებდეს ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სახელმწიფო სანომრე ნიშნის ასოთა და ციფრთა კომბინაციის მსგავს წყობას. ასოთა ან/და ციფრთა კომბინაცია არ უნდა აღემატებოდეს შვიდ ერთეულს და არ უნდა შეიცავდეს მოწოდებას, გეოგრაფიული ადგილის დასახელებას, ადმინისტრაციული ორგანოს სახელწოდებას (აბრევიატურას) ან უხამსობას. აგრეთვე არ უნდა შეურაცხყოფდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ეროვნულ ღირსებას, რელიგიას, ტრადიციასა და ზნეობრივ ნორმებს. ორი იდენტური სახელმწიფო სანომრე ნიშანი არ გაიცემა.“

**თ) შენიშვნის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ამ მუხლის „ფ“, „ფ<sup>1</sup>“ და „ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილი პირის მიყვანა ხდება დაინტერესებული პირის ხარჯით.“

**ი) შენიშვნის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. სააგენტოს უფლება აქვს უარი განაცხადოს ამ მუხლის „ფ“, „ფ<sup>1</sup>“ და „ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებებზე, თუ დაინტერესებული პირის მიერ მითითებული ადგილი სცილდება გონივრულ ფარგლებს.“

**კ) შენიშვნის მე-6 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. პირი შიდა ტრანზიტით სარგებლობის განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში ყოველ გადაცილებულ დღეზე იხდის 5 ლარს, ხოლო მისი დაკარგვის შემთხვევაში – დამატებით 30 ლარს.“

**6. მე-7 მუხლის:**

**ა) „ბ<sup>3</sup>“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ<sup>3</sup>) ერთ ერთეულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ან მის ნომრიან აგრეგატებზე საკუთრების უფლების გაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება– 2 სამუშაო დღე;“

**ბ) „ნ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ნ) ამ კანონით განსაზღვრული ნებართვების გაცემის საერთო ვადა – 8 სამუშაო დღე.“

**ბ) დაემატოს „ო“ და „პ“ პუნქტები შემდეგი რედაქციით:**

„ო) განაცხადის შეტანიდან სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია - 5 სამუშაო დღე.“

„პ) კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირისაგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე ნივთზე ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული ყადაღის, უფლების განკარგვის შეზღუდვისა და აკრძალვის, აგრეთვე რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა - შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღე.“

**7. მე-8 მუხლის:**

**ა) „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ამ კანონის მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული, უკვე გაცემული სახელმწიფო სანომრე ნიშნების იმავე პირზე ან მის მემკვიდრეზე, ან სამართალმემკვიდრეზე გაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახელმწიფო სანომრე ნიშნის ჩაბარებიდან 6 თვის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით არ განახორციელდება სანომრე ნიშნის იმავე პირის საკუთრებაში არსებულ მექანიკური სატრანსპორტო სასუალეზაზე მინიჭება. ამავე მუხლის „ე.ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო სანომრე ნიშანი პირს გადაეცემა სამუდამოდ;“

**ბ) „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და კერძო აღმასრულებლები ამ კანონის მე-6 მუხლის „რ“ და „ფ<sup>4</sup>“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებებით სარგებლობისას;

**გ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„ვ) ამ კანონით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან - თავისუფლდებიან პირები, რომლებსაც შინაგან საქმეთა მინისტრის ან სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე მომსახურების შედეგად მიღებული პროდუქტი გადაეცათ სუვენირის, საჩუქრის ან ნიმუშის სახით.“

**8. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 9. საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის ნებართვის გაცემისათვის დაწესებული საფასური

საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის ნებართვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან მე-8 სამუშაო დღეს გაცემისათვის დაწესებულია მომსახურების შემდეგი საფასური:

- ა) საბრძოლო მასალის (გლუვლულიანი იარაღის ვაზნა) ერთ ერთეულზე – 0,01 ლარი;
- ბ) საბრძოლო მასალის (ხრახნილლულიანი იარაღის ვაზნა) ერთ ერთეულზე – 0,03 ლარი;
- გ) საბრძოლო მასალის (დენთი) ერთ კილოგრამზე ფიზიკური პირისთვის – 0,9 ლარი.“

**9. მე-10 მუხლის:**

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა-გ<sup>3</sup>“-ქვეპუნქტებით გასაზღვრული ერთი ერთეული იარაღის რეგისტრაცია ან ხელახალი რეგისტრაცია ან ჩამოწერა შესაბამისი მოწმობის გაცემით:

ა) განაცხადის შეტანიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთია 50 ლარი;

ბ) განაცხადის შეტანიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთია 80 ლარი.“

**ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის ნებართვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან:

ა) 4 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი იარაღის ერთ ერთეულზე არის 70 ლარი;

ბ) 4 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი საბრძოლო მასალის (გლუვლულიანი იარაღის ვაზნა) ერთ ერთეულზე არის 0,04 ლარი;

გ) 4 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი საბრძოლო მასალის (ხრახნილლულიანი იარაღის ვაზნა) ერთ ერთეულზე არის 0,06 ლარი;

დ) 4 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი საბრძოლო მასალის (დენთი) ერთ კილოგრამზე არის 1 ლარი.“

**გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

4. საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის(აირის) იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა) ნებართვის გაცემისათვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული მომსახურების საფასური -ერთ ერთეულ იარაღზე ან იარაღის ძირითად ელემენტზე-40 ლარი, ერთ ერთეულ საბრძოლო მასალაზე(ვაზნაზე) -0,1 ლარი

**დ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-4<sup>1</sup>, მე-4<sup>2</sup> დამე-4<sup>3</sup> პუნქტები შემდეგი რედაქციით:**

„4<sup>1</sup>) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემისათვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული მომსახურების

საფასური - ერთ ერთეულ იარაღზე -40 ლარი, ხოლო ერთე ერთეულ საბრძოლო მასალაზე (ვაზნაზე) - 0,1 ლარი;

4<sup>2</sup>) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილი სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემისათვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული მომსახურების საფასური - ერთ ერთეულ იარაღზე 40 ლარი .

4<sup>3</sup>) შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულებების მერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანა და საქართველოში შემოტანის ნებართვის ნებართვის გაცემისათვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული მომსახურების საფასური - ერთერთეულ ერთეულ იარაღზე - 40 ლარი, ერთ ერთეულ საბრძოლო მასალაზე (ვაზნაზე) - 0,1 ლარი;“

ე) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით“

„8. ამ კანონის მე-6 მუხლის „ე.ბ“-„ე.ო“ ქვეპუნქტებით პირისათვის გათვალისწინებული სასურველი სახელმწიფო სანომრე ნიშნის, რომელიც რეგისტრაციის დღისათვის მიმოქცევაში არ იმყოფება და არ წარმოადგენს რიგით სანომრე ნიშანს, განაცხადის შეტანიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთია 30 ლარი.“

#### **10. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:**

4. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, გამოსცეს შემდეგი ბრძანებულებები:

ა) „დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ საქართველო პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის № 404 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“

ბ) „დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველო პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის № 406 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“

5. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა უზრუნველყოს იარაღის ჩაბარებისა და განადგურების წესის განიზაღვრება;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.